

წყალსამეურნეო გაანგარიშების წესი

1. „წყალსამეურნეო გაანგარიშების წესი“ (შემდგომ-წესი) თევზის სატბორე მეურნეობებისათვის განსაზღვრავს წყალსამეურნეო გამოთვლების და წყალმომარების ბალანსის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. წყალსამეურნეო გამოთვლები გამოიყენება თევზის სატბორე მეურნეობებისათვის :

ა) მისაწოდებელი წყლის რაოდენობის დასადგენად;

ბ) წყალმიღებისა და სხვა ნაგებობების, აგრეთვე წყალმომარაგებისა და წყალჩაშვების ქსელის სავარაუდო წყლის ხარჯის დასათვლელად.

3. წყალსამეურნეო გამოთვლებისათვის გამოიყენება თევზის სატბორე მეურნეობის ჰიდროლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონაცემები, ტბორების განლაგების სქემა, მათი ფართობი, სიღრმე, მოცულობა, წყლის ჰორიზონტის ნიშნულები, ტბორების წყლით შევსებისა და დაცლის გრაფიკი.

4. წყალსამეურნეო გამოთვლებისათვის უნდა შედგეს ტბორების წყალმომარების ბალანსი. ამისათვის უნდა დადგინდეს ვეგეტაციური სეზონის განმავლობაში ტბორების წყალმომარების ბალანსის ხარჯვითი ნაწილი და თევზის სატბორე მეურნეობის წყალმომარაგების წყაროდან ხარჯვითი ნაწილის უზრუნველყოფელი წყლის მოცულობის მიწოდების შესაძლებლობა, ანუ წყალმომარების ბალანსის საშემოსავლო ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მდინარის ან წყალმომარაგების სხვა წყაროს წყლის ხარჯს და გარკვეულწილად, ატმოსფერული ნალექს.

5. წყალმომარების ბალანსის ხარჯვითი ნაწილი შედგება კომპონენტებისაგან და ეს კომპონენტებია:

ა) წყლის ხარჯი ტბორების გეომეტრიული მოცულობების შესავსებად;

ბ) წყლის ხარჯი ტბორების ფსკერის გრუნტის გაჯერებისათვის და ტბორებიდან წყლის ფილტრაციაზე, ასევე წყლის დანახარჯი ტბორების ექსპლუატაციის პერიოდში .

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ელემენტებს კლიმატური ზონიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში ემატება:

გ.ა) წყლის ხარჯი გამოსაზამთრებელ და სათავე ტბორებში ყინულის წარმოქმნაზე;

გ.ბ) წყლის ხარჯი წყალცვლაზე და წყლის მოხმარების სხვა საჭიროებებზე (ტბორში ჩადგმული აუზები, გამოსაზამთრებელი კომპლექსები და ა.შ.).

6. ამ წესის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ტბორების წყალმომარების ბალანსის შევსებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დათევზიანების პროცესის დაწყებისას ტბორები უნდა იყოს ნაწილობრივ შევსებული, არანაკლებ მათი გეომეტრიული მოცულობის ნახევრისა;

ბ) წყლის მოთხოვნილება ტბორების ფსკერის გრუნტიდან წყლის ფილტრაციისა და გრუნტის გაჯერებაზე უნდა იყოს დადგენილი ზოგადი ფორმულების გამოყენებით. ამასთანავე, წყლის დანაკარგი წყლის ფილტრაციაზე განისაზღვრება, როგორც კაშხლის და დამბების სხეულიდან, ასევე კაშხლისა და დამბებს ქვეშ განვითარებული წყლის ფილტრაციის მიხედვით;

გ) ტბორების შევსების და დაცლის ვადების განსაზღვრისას, წყალმიწოდებელი ნაგებობის წყალმიწოდების სიმძლავრე გათვლილი უნდა იყოს წყალმიწოდების ყველაზე არახელსაყრელი კალენდარული პერიოდების გათვალისწინებით.

7. წყალსამეურნეო გაანგარიშებებისას, წყლის გეომეტრიული მოცულობა იანგარიშება თითოეული ტბორისთვის, მათთვის განსაზღვრულ წყლის ჰორიზონტებამდე შემდეგი სახით:

ა) ტბორის გეომეტრიული მოცულობა:

$$W_{\text{ტბორი}} = F \times h_{\text{საშ.}}$$

სადაც:

F - ტბორის ზედაპირის ფართობი (მ²)

H_{საშ.} - ტბორის საშუალო სიღრმე (მ)

ბ) ტბორის ფსკერის გრუნტის გაჯერებისათვის საჭირო წყლის მოცულობა

$$W_{\text{გაჯერება}} = \mu \times h \times F$$

სადაც:

μ - ფსკერის გრუნტის წყლით გაჯერების დეფიციტის კოეფიციენტი, რომლის საშუალო მაჩვენებელია 0,07

h - მიწისქვეშა წყლების ჩაწოლის სიღრმე (მ)

F - ტბორის ფართობი (მ²)

გ) წყლის ზედაპირიდან აორთქლებაზე დახარჯული წყლის მოცულობა

$$W_{\text{აორთქლება}} = K \times T \times F$$

სადაც:

K - წყლის სპეციფიკური დანაკარგი აორთქლებაზე, რომლის საშუალო მაჩვენებელია 0,007 მ/დღე-ღამე (დამოკიდებულია ჰიდროგეოლოგიური პირობებსა და გეოგრაფიული ზონაზე)

T - ტექნოლოგიური წყალმომარაგების პერიოდი (დღეების რაოდენობა);

F - ტბორის წყლის სარკის ზედაპირის ფართობი (მ²)

გ) წყლის ტბორიდან ფილტრაციაზე დახარჯული წყლის მოცულობა

$$W_{\text{ფილტრაცია}} = K \times T \times F$$

სადაც:

K - წყლის სპეციფიკური დანაკარგი ფილტრაციაზე, რომლის საშუალო მაჩვენებელია: დატკეპნილი დამბა - 0,0035 მ/დღე-ღამე, ქვიშის დამბა - 0,015 მ/დღე-ღამე. (დამოკიდებულია ჰიდროგეოლოგიური პირობებსა და გეოგრაფიული ზონაზე)

T - ტექნოლოგიური წყალმომარაგების პერიოდი (დღეების რაოდენობა).

F – ტბორზე აგებული დამბის ფართობი (მ²)

შენიშვნა:

უნდა აღინიშნოს, რომ ფილტრაციის მიზეზით წყლის დანაკარგები დამოკიდებულია ტბორის კალაპოტისა და დამბის გრანულომეტრიაზე, ფილტრაციის საწინააღმდეგო კონსტრუქციაზე და ტბორის მდებარეობის გეოგრაფიულ პირობებზე, რის გამოც აღნიშნული მაჩვენებელი ცვალებადია.

დ) წყლის ბალანსის (საშემოსავლო/დანახარჯი) მაჩვენებელი

$$W_{\text{სულ}} = W_{\text{ტბორი}} + W_{\text{გაჯერება}} + W_{\text{აორთქლება}} + W_{\text{ფილტრაცია}}$$